ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 277 (20318) ✦ შაბათი, 3 დეკემბერი, 1988 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

სოციალისტური დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობის განვითარების, საარჩევნო სისტემის, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მართლმსაჯულების ორგანოების სტრუქტურისა და საქმიანობის სრულყოფის მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. მე-12 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი 12.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები

მუხლი 89. სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა ყრილობები და უმაღლესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები — სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ.

მუხლი 90. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სახალხო დეპუტატთა არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს ოთხი თვისა შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 91. საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება სახალხო დეპუტატთა ყრილობების სხდომებზე, უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, ანდა გადაიცემა მათ მიერ რეფერენდუმისათვის.

სახალხო დეპუტატთა ყრილობები ირჩევენ უმაღლეს საბჭოებსა და უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეებს. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ირჩევენ საბჭოების თავმჯდომარეებს. უმაღლეს საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების გამოკლებით, აქვთ თავიანთი პრეზიდიუმები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან მუდმივ კომისიებს, აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ დაიკავონ თავიანთი თანამდებობანი ზედიზედ ორ ვადაზე მეტით.

ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება იყოს ვადამდე განთავისუფლებული თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს.

მუხლი 92. სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან ორგანოებს სახალხო კონტროლისას, რომელიც სახელმწიფო კონტროლს უხამებს მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლის ორგანოები ამოწმებენ კანონმდებლობის მოთხოვნების, სახელმწიფო პროგრამებისა და დავალებების შესრულებას; იბრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებების, უყაირათობისა და მფლანგველობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; კოორდინაციას უწევენ სხვა საკონტროლო ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის სრულყოფას.

მუხლი 93. სახალხო დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათ შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მუხლი 94. სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უძევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება მათ და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათ მუშაობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს, მოქალაქეთა განსახილველად გამოაქვთ საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მოქალაქეებს თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ".

2. მე-13 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი 13.

საარჩევნო სისტემა

მუხლი 95. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან და მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით დადგენილი ნორმების შესაბამისად საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა მესამედს ირჩევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის, ქალთა, ომისა და შრომის ვეტერანთა, მეცნიერ მუშაკთა გაერთიანებებისაგან, შემოქმედებითი კავშირებისა და კანონით დადგენილი წესით შექმნილი და საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოების მქონე სხვა ორგანიზაციებისაგან. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა მათ ყრილობებზე, კონფერენციებზე ან მათი საერთო-საკავშირო თუ რესპუბლიკური ორგანოების პლენუმებზე.

მუხლი 96. საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დეპუტატთა არჩევის უფლება აქვთ მათი ყრილობების, კონფერენციების ყველა დელეგატს ანდა მათი საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოების პლენუმების მონაწილეებს.

სახალხო დეპუტატად შეიძლება არჩეული იყოს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად — 21 წელს მიღწეული მოქალაქე.

სსრ კავშირის მოქალაქე არ შეიძლება იყოს ერთდროულად სახალხო დეპუტატი სახალხო დეპუტატთა ორზე მეტ საბჭოში.

ის პირნი, რომლებიც შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, გარდა ამ ორგანოების თავმჯდომარეებისა, უწყებათა, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები, მოსამართლეები და სახელმწიფო არბიტრები არ შეიძლება იყვნენ იმ საბჭოს დეპუტატები, რომელიც ნიშნავს ან ირჩევს მათ.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებსაც სასამართლო არაქმედუნარიანად ცნობს, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში გაიგზავნენ.

მუხლი 97. საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს; ამომრჩევლები არჩევნებში მონაწილეობენ თანასწორ საფუძველზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს მისი ყრილობის, კონფერენციის ყოველ დელეგატს ანდა პლენუმის მონაწილეს ერთი ხმა აქვს და ისინი ყველანი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 98. საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატებს უშუალოდ ირჩევენ მათი ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატები ანდა მათი საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოების პლენუმების მონაწილენი.

მუხლი 99. სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

მუხლი 100. საარჩევნო ოლქებში სახალხო დეპუტატობის კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლება — მათს საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებიც ითვალისწინებენ ადგილობრივი ორგანოებისაგან, ძირეული კოლექტივებისა და ამ ორგანიზაციათა წევრებისაგან შემოსულ წინადადებებს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი შეზღუდული არ არის; წინასაარჩევნო კრების ყოველ მონაწილეს შეუძლია განსახილველად წარმოადგინოს ნებისმიერი კანდიდატურები, მათ შორის — საკუთარიც.

საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი.

საარჩევნო ოლქებისაგან სახალხო დეპუტატთა არჩევის დროს შეიძლება მოეწყოს საოლქო წინასაარჩევნო კრებები ოლქში დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა განსახილველად და შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისათვის კანდიდატთა წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 101. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ღიად და საჯაროდ მზადდება.

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

სსრ კავშირის მოქალაქეებს, შრომით კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" სსრ კავშირის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები თავიანთ უფლებამოსილებას ინარჩუნებენ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მოქმედი კონსტიტუციების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატების არჩევამდე, ხოლო უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები — უმაღლესი საბჭოების ახალი პრეზიდიუმების შექმნამდე.

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩატარების შემდეგ მოიწვიოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და მოამზადოს ყრილობის სხდომები, აგრეთვე განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში სხვა უფლებამოსილებანი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ენიჭება სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის სსრ კავშირის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის რედაქციით.

დადგინდეს, რომ ბრძანებულებები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა და არ განუხილავს სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლეს საბჭოს, განსახილველად უნდა წარუდგინონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ არჩეულ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 2. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ხუთი წლის ვადა, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის 90-ე მუხლით არის დადგენილი, ვრცელდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებზე, მათი ახალი მოწვევიდან მოყოლებული.

მუხლი 3. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წინაშე, თავიანთ უფლებამოსილებას ინარჩუნებენ, ხანამ სახალხო დეპუტატთა ყრილობებისა და უმაღლესი საბჭოების მიერ შეიქმნება ან დაინიშნება შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირნი.

მუხლი 4. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო დეპუტატთა ყრილობების მიერ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეების არჩევამდე სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები.

მუხლი 5. სსრ კავშირის კონსტიტუციის 91-ე და 96-ე მუხლების სსრ კავშირის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის რედაქციით მიღებული დებულებები, რომლებიც ადგენენ, რომ მოქალაქეს არ შეუძლია ერთდროულად იყოს სახალხო დეპუტატი ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში, აგრეთვე არ უშვებენ სახალხო დეპუტატებად საბჭოების მიერ დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირების არჩევას და მათ ყოფნას თანამდებობაზე ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, გამოიყენება შესაბამისად ახალი მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევის მომენტიდან და მათ მიერ თანამდებობის პირთა დანიშვნის ან არჩევის მომენტიდან.

მუხლი 6. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ, ხანამ არჩეული იქნება სასამართლოების ახალი შემადგენლობა იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლი სსრ კავშირის 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის რედაქციით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 1 დეკემბერი.

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი. 2 დეკემბერი. (საკდესი). სამედიცინო კვლევის პროგრამის შესაბამისად დღეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკიპაჟი აწყობს ექსპერიმენტების მორიგ სერიას „ექოგრაფია", „ფიზალი", „ვიმინალი". ამ ექსპერიმენტების მიზანია კოსმოსური ფრენის პირობებში ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობის კომპლექსური შეფასება, უწონობისადმი ადაპტაციის ეტაპზე კოსმონავტთა შრომისუნარიანობისა და ფსიქოფიზიოლოგიური რეაქციების ამსახველი მონაცემების მიღება. ალექსანდრე ვოლკოვისა და ჟან-ლუ კრეტიენისათვის, რომლებიც ღია კოსმოსში უნდა გავიდნენ, გათვალისწინებულია აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა ველოერგომეტრზე ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისას.

კოსმოსის ძველი ბინადარნი ვლადიმერ ტიტოვი და მუსა მანაროვი დედამიწაზე დასაბრუნებლად მზადების მიზნით მოაწყობენ წვრთნას „ჩიბის" პნევმოვაკუუმური კოსტიუმის გამოყენებით.

გრძელდება „რენტგენ" საერთაშორისო პროგრამით გათვალისწინებული ასტროფიზიკური ექსპერიმენტები. დღეს დაგეგმილია დიდ მაგელანის ღრუბელში ზეახალი ვარსკვლავის დაკვირვების კიდევ ოთხი სეანსი.

ბოლოდროინდელი კვლევა მოწმობს, რომ ზეახალი ვარსკვლავის ხისტი რენტგენული გამოსხივება შემცირდა მიმდინარე წლის იანვრის დაკვირვების მონაცემებთან შედარებით. ნაკადის [illegible] დაკავშირებულია [illegible] კობალტის [illegible].

იალქნების თანავარსკვლავედში რენტგენული პულსარის დაკვირვების დროს გამოკვლეულ იქნა მისი გამოსხივების სპექტრი და განისაზღვრა ამ ნეიტრონული ვარსკვლავის ბრუნვის პერიოდის ცვლილება.

მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში, აგრეთვე „რენტგენ" საერთაშორისო პროექტის მონაწილე ქვეყნების ინსტიტუტებში.

„მირ" პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

საბჭოთა და ამერიკელი ახალგაზრდობის ფორუმი

მოგესალმებით თქვენ, რომელნიც ცვლით იმათ, ვისაც ახლა, ისტორიის ამ გარდამტეხ მომენტში ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, თუ როგორი შეეგებება მსოფლიო გაერთიანება XXI საუკუნეს.

თვით თქვენი ფორუმი ამ სამყაროში უკეთესობისაკენ რეალურ ცვლილებათა ნიშანია. ეტყობა, ჩვენ მართლაც ვუახლოვდებით იმის შეცნობას, რომ საზოგადოებრივი სისტემებისა და სახელმწიფო რეჟიმების განსხვავების პირობებში ადამიანი, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, რჩება ადამიანად — ცივილიზაციის, შესაძლოა, მთელ სამყაროში ერთადერთი ცივილიზაციის, ყველაზე დიდ მთავარ ღირებულებად. და თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები არ გადაუხვევენ მათ მიერ ერთობლივად დასახულ მარშრუტს, მათ შეუძლიათ ძლიერ შეუწყონ ხელი კაცობრიობის მიერ საკუთარი თავის ასეთ რეალისტურ და შემოქმედებითს შეცნობას.

მიმართოთ ახალგაზრდობას — ნიშნავს ურთიერთობა დაამყარო მომავალთან. თქვენ უნდა განაგრძოთ ისტორია, დაწეროთ მისი ახალი ფურცლები და თავები. თქვენ გეკისრებათ ტვირთი და მოვალეობა საბოლოოდ მიაღწიოთ იმას, რომ იგი აღარ იწერებოდეს მახვილითა და ულლით. მაგრამ უკვე დღეს საჭირო და სასარგებლოა თქვენი, როგორც საზოგადოებრივი აზრისა და სახალხო დიპლომატიის გავლენიანი ძალის მონაწილეობა საერთაშორისო საქმეებში.

ვინ, თუ არა თქვენ, რომლებიც არა ხართ ისე შეპყრობილი „ცივი ომისა" და კონფრონტაციის შიშითა და მითებით, უნდა გამოთქვათ აზრები, რომლებიც ჯერ კიდევ არავის მიერ და არსად არ არის აპრობირებული, ვიკამათოთ ახლო და შორეულ პერსპექტივებზე, არ დაფაროთ ეჭვი, მაგრამ ამას არ უნდა ახლდეს მეტისმეტი სკეფსისი. ყოველთვის ასე იყო — სწორედ ახალგაზრდები აგნებდნენ პირველად თავიანთი ეპოქის დიად ჭეშმარიტებებს. გაბედულად იმოქმედეთ!

თქვენ, ამერიკელ და საბჭოთა ახალგაზრდა მოღვაწეებს, გეძლევათ შანსი შეაჯეროთ და გაამდიდროთ თქვენი ცოდნა, შეამოწმოთ აწმყოსა და მომავლის შესახებ აზრები, ერთად მოიფიქროთ, როგორ მოახდინოთ რეაგირება დროის მრისხანე გამოწვევაზე, როგორ გამოიყენოთ ოპტიმალურად საუკუნეებში და განსაკუთრებით ჩვენს ტრაგიკულ და დინამიკურ საუკუნეში დაგროვილი პოტენციალი. ინარჩუნებდეთ ინიციატივას ამ ძიებაში ჭეშმარიტად საინტერესო, მაგრამ უაღრესად პასუხსაგები საქმეა. წარმატებებს ვუსურვებთ იმათ, ვინც იბრძვის ამისათვის.

ფორუმის მონაწილეებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, რეალიზმს ანალიზში და ალმაფრენას აზრებში, ენერგიასა და ერთობლივი მუშაობის უნარს ქვეყნად მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგებისათვის.

მ. გორბაჩოვი.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და სომხეთის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ა. ი. ლუკიანოვი და გ. პ. რაზუმოვსკი.

გულახდილი აზრთა გაზიარების დროს განიხილეს რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის ზოგიერთი საკითხი, აღნიშნულ მოკავშირე რესპუბლიკებში დაძაბულობის შენელებისა და აღკვეთის, ურთიერთნდობის, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეროვნებათშორისი კონფლიქტები, ამ ნიადაგზე, გაფიცვები, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი სერიოზულ ზიანს აყენებს ეკონომიკას, ობიექტურად მიმართულია ქვეყანაში გაჩაღებული განახლების დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ.

შეხვედრის მონაწილეებმა ორივე რესპუბლიკის მთელ ჯანსაღ ძალებს მოუწოდეს კონსოლიდაციისათვის, იმისათვის, რომ საკადრისი პასუხი გასცენ ეროვნულ ნიადაგზე შუღლისა და მტრობის ჩამოგდების ცდებს, დაუყოვნებლივ დაამყარონ მჭიდრო სამუშაო კონტაქტები რეგიონში საქმის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა.-რ. ხ. ვეზიროვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. გ. არუთინიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. დ. მელიქოვი, გაერთიანება „კასპზღვანავთობის" გენერალური დირექტორი კ. ა. აბასოვი, კაჯარანის სპილენძ-მოლიბდენის კომბინატის ბრიგადირი პ. მ. დავთიანი, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მარდაკერტის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ს. ვ. მამუნცი და სხვა დეპუტატები.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

შეხვედრის ანგარიში პრესაში გამოქვეყნდება.

(საკდესი).

ეცნობიან რესპუბლიკას

სამ დღეს ეცნობოდნენ რესპუბლიკის ცხოვრებას ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, „ისრაელ-სსრ კავშირის მეგობრობის მოძრაობის" გენერალური მდივანი ი. გოჟანსკი და ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლ. ზახავი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ კულტურის დაწესებულებებს, შეხვდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტებს.

ი. გოჟანსკი და ლ. ზახავი მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა. გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვ. ლორთქიფანიძე.

(საქინფორმი).

წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მსხმოიარე ვაზს 488 ჰექტარი უკავია. წლეულს აქ მოკრიფეს და სახელმწიფო მარანში მიიტანეს 6185 ტონა ყურძენი, გეგმა კი 4522 ტონას ითვალისწინებდა.

მუყაითი მევენახეები კვლავ ზვრებში ტრიალებენ. რაიონში ვაზის სხვლა პირველად სამთაწყაროელებმა დაიწყეს. ამ სურათზე აღვბეჭდეთ კომუნისტ ლევან შანიძის ბრიგადის წევრები. ისინი დღეში 250-300 ძირ ვაზს სხლავენ.

სურათზე: მოწინავე მევენახეები: ნათელა დუმბაძე, მეურნეობის დირექტორი დავით ზავრიშვილი და დარეჯან ჯაიანი სახსლავში.

ვარლამ გენგიურის („კომუნისტი") ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
პ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 2 დეკემბერი.

• • •

გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე დაიბადა 1945 წელს ქ. თბილისში, სკკპ წევრია 1972 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1966 წელს. მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, შემდეგ პასუხსაგებ სამუშაოზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი, ამავე განყოფილების სექტორის გამგე და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

1983 წელს გ. გ. გუმბარიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად.

1985 წლის ოქტომბრიდან იგი დაინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ, ხოლო 1986 წლის აგვისტოდან — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

1988 წლის მაისში ამხ. გ. გ. გუმბარიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამხ. გ. გ. გუმბარიძე არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

(გაგრძელება)

მუხლი 102. ამომრჩევლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის, აგრეთვე სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებათა მომზადების დროს, ორგანიზაციას უწევენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათი რეალიზაციის".

3. მე-15 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი 15.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო

მუხლი 108. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობას განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება, მასში ცვლილებათა შეტანა;

2) გადაწყვეტილებათა მიღება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება;

3) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრა; მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

4) სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

5) სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული სახელმწიფო გეგმებისა და უმნიშვნელოვანესი საერთო-საკავშირო პროგრამების დამტკიცება;

6) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევა;

7) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;

8) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;

9) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება;

10) სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დამტკიცება;

11) სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის არჩევა;

12) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აქტების გაუქმება;

13) გადაწყვეტილებათა მიღება საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა იღებს სსრ კავშირის კანონებს და დადგენილებებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საერთო რიცხვის ხმების უმრავლესობით.

მუხლი 109. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა შედგება 2250 დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ შემდეგი წესით:

750 დეპუტატი — ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვით;

750 დეპუტატი — ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან შემდეგი ნორმებით: 32 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან, 11 დეპუტატი თითოეული ავტონომიური რესპუბლიკისაგან, 5 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქისაგან და ერთი დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოკრუგისაგან.

750 დეპუტატი — საერთო-საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევის შესახებ კანონით დადგენილი ნორმებით.

მუხლი 110. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას პირველ სხდომაზე იწვევენ არჩევნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგინებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

ყრილობის მორიგი სხდომები ეწყობა წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სხდომებს იწვევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი პალატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სულ ცოტა ერთი მეხუთედის წინადადებით ან მოკავშირე რესპუბლიკის ინიციატივით მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახით.

არჩევნების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პირველ სხდომას უძღვება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

მუხლი 111. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ფარული კენჭისყრით ირჩევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების რიცხვიდან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და მისდამი ანგარიშვალდებულია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან, რომლებიც თანაბარი არიან თავიანთი რაოდენობრივი შემადგენლობით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატები თანასწორუფლებიანი არიან.

პალატებს ირჩევენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე დეპუტატთა საერთო კენჭისყრით. კავშირის საბჭოს ირჩევენ ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიცხვიდან მოკავშირე რესპუბლიკასა თუ რეგიონში ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით. ეროვნებათა საბჭოს ირჩევენ ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების რიცხვიდან, ნორმებით: 11 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან, 4 დეპუტატი თითოეული ავტონომიური რესპუბლიკისაგან, 2 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქისაგან და ერთი დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოკრუგისაგან.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ყოველწლიურად აახლებს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობის მეხუთედს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეული პალატა ირჩევს პალატის თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები ხელმძღვანელობენ შესაბამისი პალატების სხდომებს და განაგებენ მათს შინაგანაწესს.

პალატების გაერთიანებულ სხდომებს უძღვებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ანდა რიგრიგობით კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები.

მუხლი 112. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ყოველწლიურად იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მორიგ — საგაზაფხულო და საშემოდგომო — სესიებზე, რომელთა ხანგრძლივობა, როგორც წესი, თითოეულის სამ-ოთხი თვეა.

რიგგარეშე სესიებს იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მოკავშირე რესპუბლიკის წინადადებით მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახით ანდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი პალატის შემადგენლობის სულ ცოტა მესამედის წინადადებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია შედგება პალატების ცალ-ცალკე და გაერთიანებული სხდომებისაგან, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების სხდომებისაგან, რომლებიც სხდომებშუა პერიოდში ეწყობა. სესია იხსნება და იხურება პალატების ცალ-ცალკე ან გაერთიანებულ სხდომებზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობის შექმნამდე.

მუხლი 113. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო:

1) ნიშნავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს და ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას;

2) ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მისი წარდგინებით ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას, შეაქვს მასში ცვლილებანი; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს სსრ კავშირის სამინისტროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს;

3) ქმნის სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს და ამტკიცებს მის შემადგენლობას; ნიშნავს და ცვლის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

4) ირჩევს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, ნიშნავს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრს, ამტკიცებს სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიას და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიას;

5) რეგულარულად ისმენს მის მიერ შექმნილი ან არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ დანიშნულ ან არჩეულ თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

6) უზრუნველყოფს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებს;

7) ახორციელებს სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებში საკუთრებითი ურთიერთობის, სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის, საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის, შრომის ანაზღაურებისა და ფასწარმოქმნის, დაბეგვრის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ორგანიზაციის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის წესის აგრეთვე სხვა ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირებას;

8) განმარტავს სსრ კავშირის კანონებს;

9) ადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგად საწყისებს; განსაზღვრავს საზოგადოებრივი ორგანიზაციათა სამართლებრივი სტატუსის საფუძვლებს;

10) სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დასამტკიცებლად წარადგენს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული სახელმწიფო გეგმებისა და უმნიშვნელოვანესი საერთო-საკავშირო პროგრამების პროექტებს; ამტკიცებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს; აკონტროლებს გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებს ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებანი გეგმასა და ბიუჯეტში;

11) ახდენს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა და დენონსაციას;

12) კონტროლს უწევს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის სახელმწიფო სესხის მიცემას, ეკონომიკური და სხვა დახმარების გაწევას, აგრეთვე უცხოეთის წყაროებიდან მიღებული სახელმწიფო სესხისა და კრედიტების შესახებ შეთანხმებათა დადებას.

13) განსაზღვრავს ძირითად ღონისძიებებს თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის დარგში; აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას; აცხადებს ომის მდგომარეობას სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის ან აგრესიისაგან ურთიერთთავდაცვის საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საჭიროების შემთხვევაში;

14) იღებს გადაწყვეტილებებს მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების კონტინგენტების გამოყენების შესახებ;

15) აწესებს სამხედრო წოდებებს, დიპლომატიურ რანგებსა და სხვა სპეციალურ წოდებებს;

16) აწესებს სსრ კავშირის ორდენებსა და მედლებს; ადგენს სსრ კავშირის საპატიო წოდებებს;

17) გამოსცემს საერთო-საკავშირო აქტებს ამნისტიის შესახებ;

18) უფლება აქვს გააუქმოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი;

19) აუქმებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს;

20) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგეობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სსრ კავშირის კანონებსა და დადგენილებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებულ კანონებსა და სხვა აქტებს.

მუხლი 114. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს, კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკებს მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს და პალატების მუდმივ კომისიებს, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო ორგანოების სახით და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

მუხლი 115. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეტანილ კანონების პროექტებს განიხილავენ პალატები თავიანთ ცალ-ცალკე ან გაერთიანებულ სხდომებზე.

სსრ კავშირის კანონი მიღებულად ითვლება, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეულ პალატაში მას ხმას მისცემს პალატის წევრთა უმრავლესობა. კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება მისი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკის წინადადებით მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახით, შეიძლება გამოტანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

მუხლი 116. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეულ პალატას უფლება აქვს განიხილოს ყოველი საკითხი, რომელიც განეკუთვნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამგებლობას.

უწინარეს ყოვლისა, კავშირის საბჭოში უნდა იქნეს განხილული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სახელმწიფო მშენებლობის საკითხები, რომლებსაც მთელი ქვეყნისათვის საერთო მნიშვნელობა აქვს, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების საკითხები.

უწინარეს ყოვლისა, ეროვნებათა საბჭოში უნდა იქნეს განხილული ეროვნული თანასწორუფლებიანობის, ერების, ეროვნებებისა და ეროვნული ჯგუფების ინტერესების უზრუნველყოფის საკითხები საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საერთო ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან შეხამებით; ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მომწესრიგებელი სსრ კავშირის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები.

თავისი კომპეტენციის საკითხებზე თითოეული პალატა იღებს დადგენილებებს.

ერთ-ერთი პალატის მიერ მიღებული დადგენილება საჭიროების შემთხვევაში გადაეცემა მეორე პალატას და მოწონების შემთხვევაში მას ენიჭება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების ძალა.

მუხლი 117. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა შემათანხმებელ კომისიას, რომელსაც პალატები ქმნიან პარიტეტულ საწყისებზე, რის შემდეგაც საკითხს განმეორებით განიხილავენ კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო გაერთიანებულ სხდომაზე. თუ ვერც ამ შემთხვევაში მიაღწევენ თანხმობას, მაშინ საკითხს გადაიტანენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად.

მუხლი 118. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თხუთმეტი მოადგილე — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 119. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

1) იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს;

2) ორგანიზაციას უწევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების მომზადებას.

3) კოორდინაციას უწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების საქმიანობას;

4) ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს მათი უფლებამოსილებების განხორციელებაში და უზრუნველყოფს მათ საჭირო ინფორმაციით;

5) კონტროლს უწევს სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს;

6) ორგანიზაციას უწევს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმების) მომზადებასა და ჩატარებას, აგრეთვე სსრ კავშირის კანონების პროექტებისა და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვას;

7) ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, დიპლომატიურ რანგებსა და სხვა სპეციალურ წოდებებს;

8) აჯილდოებს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს სსრ კავშირის საპატიო წოდებებს;

9) ანიჭებს სსრ კავშირის მოქალაქეობას, წყვეტს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლის, სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს:

10) ახორციელებს შეწყალებას;

11) ნიშნავს სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან;

12) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

13) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას; სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ან აგრესიისაგან ურთიერთთავდაცვის საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში აცხადებს ომის მდგომარეობას;

14) სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში — ამასთან აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად; შეუძლია აღნიშნულ შემთხვევებში შემოიღოს მართვის განსაკუთრებული ფორმები, რომლებსაც ახორციელებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოები;

15) აქვეყნებს მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე სსრ კავშირის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მისი პალატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

მუხლი 120. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირია და წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთაგან ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით და არა უმეტეს ორი ვადით ზედიზედ. იგი შეიძლება ნებისმიერ დროს ფარული კენჭისყრით გაიწვიოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი.

მუხლი 121. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

1) საერთო ხელმძღვანელობას უწევს იმ საკითხების მომზადებას, რომლებიც უნდა განიხილონ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ; ხელს აწერს სსრ კავშირის კანონებსა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ სხვა აქტებს;

2) სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს ქვეყნის მდგომარეობისა და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;

3) სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას, აგრეთვე წინადადებებს სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

4) სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის თანამდებობებზე დასანიშნად ან ასარჩევად, შემდეგ კი ამ თანამდებობის პირთა დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას.

5) მეთაურობს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს;

6) აწარმოებს მოლაპარაკებას და ხელს აწერს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავმჯდომარის მოადგილეები თავმჯდომარის დავალებით ასრულებენ მის ზოგიერთ ფუნქციას და ცვლიან თავმჯდომარეს მისი არყოფნის ან მის მიერ მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

მუხლი 122. კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრების, სსრ კავშირის სხვა სახალხო დეპუტატების რიცხვიდან ირჩევენ პალატების მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ აწარმოონ საკანონპროექტო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

ამავე მიზნებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებს შეუძლიათ შექმნან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები პარიტეტულ საწყისებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, თითოეული მისი პალატა, როცა საჭიროდ მიიჩნევენ, ქმნიან ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიები და კომიტეტები ყოველწლიურად აახლებენ თავიანთი შემადგენლობის მეხუთედს.

მუხლი 123. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონებსა და სხვა გადაწყვეტილებებს, მისი პალატების დადგენილებებს, როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტებს წინასწარ განიხილავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების შესაბამისი მუდმივი კომისიები ან კომიტეტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიების შემადგენლობაში თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა ხდება, თუ არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების შესაბამისი მუდმივი კომისიების ან კომიტეტების დასკვნა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს პალატების კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და კომიტეტების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

კომისიებისა და კომიტეტების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები და მიღებული ღონისძიებანი უნდა ეცნობოთ კომისიებსა და კომიტეტებს მათ მიერ დაწესებულ ვადაში.

მუხლი 124. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა ორგანოების ხელმძღვანელების წინაშე. ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშე შეკითხვის წესით დაყენებულია საკითხი, მოვალეა არა უგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს ყრილობის მოცემულ სხდომაზე ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოცემულ სესიაზე.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები თავისუფლდებიან სამსახურებრივი თუ საწარმოო მოვალეობების შესრულებისაგან გარკვეული ვადით, რომელიც საჭიროა სადეპუტატო საქმიანობის განსახორციელებლად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მის პალატებში, კომისიებსა და კომიტეტებში, აგრეთვე მოსახლეობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები შეიძლება განთავისუფლდნენ სამსახურებრივი თუ საწარმოო მოვალეობების შესრულებისაგან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავიანთი უფლებამოსილების მთელი პერიოდით.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თანხმობა, სესიებს შუა პერიოდში კი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა.

მუხლი 125. სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ირჩევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და 21 წევრის, მათ შორის თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელთა შემადგენლობით. სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეულ პირთ არ შეუძლიათ ერთდროულად შედიოდნენ იმ ორგანოების შემადგენლობაში, რომელთა აქტები ექვემდებარება კომიტეტის ზედამხედველობას.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეული პირნი თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციას ემორჩილებიან.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი:

1) საკუთარი ინიციატივით ან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებით წარუდგენს ყრილობას დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას ყრილობის მიერ განსახილველად სსრ კავშირის კანონების პროექტები;

2) საკუთარი ინიციატივით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებით ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინადადებით წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებულ სსრ კავშირის კანონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების აქტები, აგრეთვე ამ ორგანოების აქტების პროექტები;

3) თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი;

4) საკუთარი ინიციატივით ან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დავალებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინადადებით იძლევა დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები.

თუ გამოვლინდა, რომ აქტი ან მისი ცალკეული დებულებები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას ან კანონებს, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი აქტის გამომცემ ორგანოს უგზავნის თავის დასკვნას დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად. ასეთი აქტის გაგზავნა აჩერებს სსრ კავშირის კონსტიტუციის თუ კანონის საწინააღმდეგო აქტის ან მისი ცალკეული დებულებების შესრულებას.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უფლება აქვს წარდგინებით შევიდეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მათდამი ანგარიშვალდებული ორგანოების ან თანამდებობის პირთა იმ აქტების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას ან კანონს.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ.

მუხლი 126. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევენ მათდამი ყველა ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო წარმართავს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობას, რომელიც სათავეში უდგას სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ.

მუხლი 127. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მათი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემული სსრ კავშირის სხვა კანონები".

4. მე-20 თავის — „სასამართლო და არბიტრაჟი" — 152-ე, 153-ე და 155-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 152. სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს, სამხარეო, საოლქო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილას ღია კენჭისყრით, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სახალხო მსაჯულებს — სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ღია კენჭისყრით.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ ათი წლის ვადით. ყველა სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩევლების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 153. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სსრ კავშირის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა და ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის სასამართლოების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების სასამართლო საქმიანობას კანონით დადგენილ ფარგლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ".

მუხლი 155. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის უზრუნველყოფილია მათი უფლებებისა და მოვალეობების შეუფერხებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები. მართლმსაჯულების აღსასრულებლად მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონით.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს აწესებს კანონი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტები".

II. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-12, მე-13 და მე-15 თავების ახალ რედაქციასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს მათგან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის შემდეგ მუხლებში:

1. 77-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების — „გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე".

2. 103-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავის საქმიანობაში დეპუტატი ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მისი ამრჩევი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ გამოხატულ ინტერესებს, ილვწის ამომრჩეველთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის განაწესების განხორციელებისათვის".

104-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 104. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

სახალხო დეპუტატთა ყრილობის სხდომების, უმაღლესი საბჭოს ან ადგილობრივი საბჭოს სესიის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან და მას უნაზღაურდება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე".

4. 105-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების წინაშე, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ შეკითხვის წესით დაყენებულ ამ საკითხს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი საბჭოს სესიაზე".

5. 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 107. დეპუტატი ვალდებულია თავისი მუშაობის, სახალხო დეპუტატთა ყრილობის, უმაღლესი საბჭოს ან ადგილობრივი საბჭოს მუშაობის ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს, კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს, ანდა მის ამრჩევ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნდობას, ნებისმიერ დროს შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩეველთა უმრავლესობის ან მისი ამრჩევი საზოგადოებრივი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 130. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

ახლად შექმნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსახილველად წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს თავის უფლებამოსილების ვადით მომავალი საქმიანობის პროგრამას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს თავისი მუშაობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს".

7. 131-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება, რამდენადაც ისინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, არ შედის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციაში".

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

(დასასრული)

8. 133-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 133. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებს და განკარგულებებს და ამოწმებს მათ შესრულებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები შესასრულებლად სავალდებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე“.

9. 135-ე მუხლში:

პირველ ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების საკავშირო დაქვემდებარებაში გადაცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი“;

მეოთხე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების“.

10. 137-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 137. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობის უფლებამოსილებას განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

11. 138-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 138. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოა. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინაშე.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

12. 139-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე“.

13. 143-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 143. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობა“.

14. 144-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივმოქმედი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოა. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინაშე.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე.

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე“.

15. 149-ე და 150-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 149. სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების მუშაობას ორგანიზაციას უწევენ მათი პრეზიდიუმები, რომლებსაც სათავეში უდგანან საბჭოების თავმჯდომარეები, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოებში — ამ საბჭოების თავმჯდომარეები.

მუხლი 150. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი ირჩევენ.

აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებენ მათს ამრჩევ საბჭოებს, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებს.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან როგორც მათი ამრჩევი საბჭოს, ისე ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს წინაშე“.

16. 165-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 165. სსრ კავშირის გენერალური პროკურორი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე“.

17. 174-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174. სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლა ხდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედის უმრავლესობით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 1 დეკემბერი.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი დაცულია!

დამთავრდა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, მეთორმეტე სესია. დამტკიცდა სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებები და დამატებანი. მიღებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონი და ბუნებრივია დღის წესრიგში დადგა ამ დიდი სოციალური და პოლიტიკური მოვლენის სახალხო შეფასების აუცილებლობა. ეს მოვლენა, რომლის შეფასება არამც და არამც არ შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ და მხოლოდ მიღებული საკანონმდებლო აქტების რაობით, გაანალიზებული უნდა იქნეს სწორედ, როგორც გლობალური, სოციალურ-პოლიტიკური აქცია ჩატარებული არა დემაგოგიურ-ფორმალური, არამედ რეალური საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში, როგორც ფართო მასების ემოციურ-ინტელექტუალური განსჯის და გააზრების მთლიანი პროცესი, დაწყებული კანონპროექტების გამოქვეყნებიდან, დამთავრებული მათ მიღებამდე; როგორც მთლიანობაში აღქმული წინგადადგმული ნაბიჯი სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის თვალსაზრისით.

ეს მოვლენა სწორედ ამგვარად უნდა იქნეს შეფასებული უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ „ჩვენ საბჭოთა გამოცდილებიდან დავასკვენით, რომ დემოკრატიული მეთოდებით საზოგადოების მართვა განუზომლად უფრო ძნელია, ვიდრე ავტორიტარული მეთოდებით“. ამავე დროს ვნახეთ, რომ „დემოკრატიზაცია საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღების, პიროვნების სოციალური დაკომპლექსებულობის დაძლევის ერთადერთი გზაა“. (ჯ. პატიაშვილი) ვიგრძენით, რომ დემოკრატიის გაკვეთილი არ იყო მხოლოდ „ზემოდან ქვევით“, მას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა. მიხეილ გორბაჩოვის სიტყვებით: „რა საინტერესოა და, ჩვენ ცენტრში იგი გაკვეთილი მივიღეთ, ვფიქრობ, თქვენც მიიღეთ იგი ყოველივე იქიდან, რაც რეფორმის პირველი ეტაპის საკითხების განხილვის დროს განვიცადეთ. რას ვამბობ, ხდება ხოლმე. ჩვენ ალბათ, სხვა საკითხებზეც წავიფორხილებთ. მაგრამ საჭიროა დავრჩეთ პრინციპულ პოზიციებზე, შევინარჩუნოთ და გავაღრმავოთ ნდობა რესპუბლიკებსა და კავშირს შორის, ხოლო თითოეულ რესპუბლიკაში — მასში მცხოვრებ ყველა ხალხს შორის“. აღიარებულია ისიც, რომ „ცენტრმა უნდა მოიშალოს ძველი ჩვევა. არავის, ყველაფერი ისეც გავაო. რომ ვიმეორებ; ჩვენ ყველანი დიდ სკოლას გავდივართ და ამ სკოლაში ყველამ კარგად უნდა ვისწავლოთ“ (მ. გორბაჩოვი). ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რას ნიშნავს ხალხისა და ხელისუფლების ერთიანი, სწორი, კანონზე დამყარებული, სამართლიანი, თანაც მტკიცე პოზიცია, რას ნიშნავს მოძალებულ ემოციათა გაწონასწორების ურთულესი და უმაღლესი კულტურა. არ დაგვიწყებია ისიც, რომ „ნაციონალისტური გამოვლინებების ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ეროვნული ტრაგედია მოსდევს“ (ჯ. პატიაშვილი) და ეს პროცესი მიმდინარეობდა ერთი უპირატესი დევიზით „მტკიცე კავშირი ძლიერი ცენტრი და ძლიერი რესპუბლიკები“ (მ. გორბაჩოვი). მტკიცე კავშირი მხოლოდ თავისუფალი კავშირი შეიძლება იყოს. ძლიერ რესპუბლიკებად კი მხოლოდ სუვერენული რესპუბლიკები შეიძლება მოგვევლინოს. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული საქართველოს და მისი უმაღლესი საბჭოს ძალისხმევა, როცა მტკიცე უარყოფითი პოზიცია გამოიკვეთა სსრ კავშირის კონსტიტუციის კანონპროექტის 108-ე მუხლის მე-2 და 119-ე მუხლის მე-13 პუნქტების მიმართ.

მოკლედ შევჩერდებით საკითხის არსზე: როგორც ცნობილია, კანონის პროექტის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობას განეკუთვნებოდა „გადაწყვეტილების მიღება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხზე“. ვინაიდან სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხზე მსჯელობა მოიცავს არა მარტო სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკის მიღებას, არამედ შემადგენლობიდან მის გასვლასაც. რესპუბლიკურ პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ნორმის შესაბამისად თუკი იგი დაკანონდებოდა, ყრილობას უფლებამოსილება მიენიჭებოდა ემსჯელა და გადაწყვეტილება მიეღო რესპუბლიკის სსრ კავშირიდან გასვლის შესახებაც, ეს კი არსებითად ხელყოფდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს, შეზღუდავდა მოკავშირე რესპუბლიკის სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის კონსტიტუციურ უფლებას, რაც სერიოზული გადახვევა იქნებოდა საბჭოთა ფედერალიზმის ლენინური პრინციპებიდან.

კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა ჩვენი და სხვა რესპუბლიკების წინადადებანი და კონსტიტუციის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტით სსრ კავშირის ყრილობის უფლებამოსილებას დაუქვემდებარა **„გადაწყვეტილებათა მიღება ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას“**. იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ ახალი ნორმის რაობაში და შევაფასოთ იგი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ რა საკითხებს შეიძლება მოიცავდეს „გადაწყვეტილებანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე“. ეს ცნება საკმაოდ ფართოა და გულისხმობს სსრ კავშირის ეროვნულ-ტერიტორიულ ორგანიზაციას, მის სტრუქტურას, მოკავშირე რესპუბლიკებთან მისი სახელმწიფოებრივი ურთიერთდამოკიდებულების ფედერალურ ფორმას, მათს სამართლებრივ მდგომარეობასა და ადმინისტრაციულ ტერიტორიალურ დაყოფას (იხ. საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, მე-2 გამოცემა, მ., 1985 წ., გვ. 206). ეჭვგარეშეა, რომ სსრ კავშირის უფლებამოსილება ვერ გავრცელდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა ამ საკითხზე, ვინაიდან 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით ყრილობა იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც სსრ კავშირის და არა მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება. უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის გამგებლობას არ განეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკის სსრ კავშირიდან გასვლის უფლების განხილვა-გადაწყვეტა, ვინაიდან სსრ კავშირის 72-ე მუხლის თანახმად „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება“. ეს უფლება მოკავშირე რესპუბლიკის უპირობო უფლებად, მის საგანგებო უფლებამოსილებად დარჩა და ამდენად 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია რესპუბლიკის ამ მთავარ სუვერენულ უფლებას არ ზღუდავს. მაშ ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების რა საკითხები განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას? მივმართოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პოლიტიკურ-სამართლებრივ კომენტარებს: „სსრ კავშირის კონსტიტუციის რიგი მუხლების შინაარსი, რომლებიც ადგენენ სსრ კავშირის ორგანოთა უფლებამოსილებას, შესაძლებელია სწორად გავიგოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვიშველიებთ უწინარეს ყოვლისა 73-ე მუხლს“. (იხ. სსრ კავშირის კონსტიტუცია: პოლიტიკურ-სამართლებრივი კომენტარები, მ. 1982 წ.). კონსტიტუციის 73-ე მუხლში კი სწერია: . რომ სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება „1). სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკის მიღება; მოკავშირე რესპუბლიკათა შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება.

2) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება...“ სწორედ ამ საკითხებით უნდა შემოიფარგლებოდეს 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია, როდესაც იგი მიუთითებს ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, რომელიც განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას. **ცხადია, რომ 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია არ ზღუდავს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს.**

ბუნებრივად იბადება კითხვა: უნაკლოა ამ საკითხის ახლებური გადაწყვეტა? მიხეილ გორბაჩოვის სიტყვებით „რა თქმა უნდა პოლიტიკური რეფორმის ყველა დეტალის, ყველა კონკრეტული საკითხის განჭვრეტა ახლა ძნელია.., კიდევ და კიდევ გვახსენდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ საერთოდ ჩვენს საქმიანობას და კერძოდ ჩვენს კონსტიტუციას არასდროს არ ვთვლით უნაკლოდ“. მაგრამ ეს ნაკლი ჩვენი აზრით არა 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახლებურ რედაქციაშია, არამედ 73-ე მუხლის იმ რედაქციაში, რომელიც უცვლელი რჩება და რომელიც ზემოთ მითითებულ ნორმასთან ერთობლიობაში უნდა მოქმედებდეს. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოს ძირითად კანონში სსრ კავშირის კომპეტენცია ამომწურავად უნდა იყოს განსაზღვრული, სწორედ ასე იყო ეს საკითხი გადაწყვეტილი სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში. მოქმედი კონსტიტუციის 73-ე მუხლის 12-ე პუნქტის მიხედვით კი სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება „საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხების გადაწყვეტა“. კონსტიტუციის დახვეწის შემდგომ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობამ და უმაღლესმა საბჭომ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს კონსტიტუციის პროექტის 119-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიმართაც, რომლის მიხედვით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის დაცვის ინტერესებისათვის და აუცილებლობის შემთხვევაში აწესებს მართვის განსაკუთრებულ ფორმებს“. ბუნებრივია, „ცალკეულ ადგილებში“ უნდა ვიგულისხმოთ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის ცალკეული რეგიონი, ისე მთლიანად მოკავშირე რესპუბლიკა... აქედან ე. წ. „საგანგებო წესების“ შემოღებით შესაძლებელი იყო გარკვეული ვადით მთლიანად გაუქმებულიყო მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა თავის ტერიტორიაზე. სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რასაკვირველია უნდა ჰქონდეს საგანგებო წესების შემოღების უფლება მთელ ქვეყანაში, მაგრამ სსრ კავშირის ფედერალური ბუნებიდან გამომდინარე ეს უფლება არამც და არამც არ უნდა ხორციელდებოდეს ცალკეულ რეგიონებში, კავშირში ნებაყოფლობით გაერთიანებული სუვერენული სახელმწიფოების ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკების ნების გარეშე. სწორედ ამ ასპექტში დასვა საკითხი სესიაზე დეპუტატმა ჯუმბერ პატიაშვილმა და ეს აზრი გაზიარებულ იქნა. 119-ე მუხლის მე-13 (ამჟამად მე-14) პუნქტის ახალი რედაქციით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის სამხედრო ან საგანგებო წესებს აცხადებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში — **და ამ საკითხს აუცილებლად იხილავს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად;** აღნიშნულ შემთხვევაში მას შეუძლია შემოიღოს მართვის განსაკუთრებული ფორმები, **რომლებსაც ახორციელებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები“.**

ამრიგად, ნათელია, რომ საკითხის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ერთობლივი განხილვა და მართვის განსაკუთრებული ღონისძიებების ერთობლივი განხორციელება, პარიტეტულ საწყისებზე საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას და სახელმწიფოს ერთობლივ მართვას უნდა ნიშნავდეს. **ასე რომ, მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლებები ამჯერადაც დაცულია.**

თამაზ შავგულიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჯონი ხეცურიანი,
დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მეტი ყურადღება მშობლიური ენის შესწავლას

სოხუმი, 2 დეკემბერი. (საქინფორმის კორ). მუშაობას შეუდგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინიციატივით შექმნილი კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს აფხაზური ლიტერატურული ენის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის კომპლექსური სახელმწიფო პროგრამის პროექტი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგის სპეციალისტები, სახალხო განათლების ორგანოების, სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, აგრეთვე ავტორიტეტიანი პრაქტიკოსი პედაგოგები. კომისიამ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. მ. ცუგბას თავმჯდომარეობით მოკლე ხანში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. აანალიზებენ გამოცდილებას, სწავლობენ მოწინავე პედაგოგიური კოლექტივების მიღწევებს, იხილავენ მასწავლებელთა კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საკითხებს, პედაგოგების, მეცნიერების, ლიტერატორების და საზოგადოებრიობის პრაქტიკულ წინადადებებს, რომელთა მიზანია სკოლებში აფხაზური ენის შესწავლის გაღრმავება.

აფხაზური ენის საკონსტიტუციო სტატუსის შესაბამისად, იღებენ ზომებს, რათა დაიცვან აფხაზური ენის ნორმები პერიოდულ პრესასა და ლიტერატურაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზურ ენაზე სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის შედგენას. სახელმძღვანელოების, ლექსიკონების, ცნობარების, სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემას მშობლიურ ენაზე სასწავლო დისციპლინების შესწავლის მიზნით.

ყურადღებით აანალიზებენ პრობლემებსა და მუშაობის მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლის ძირეულ გარდაქმნასთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლების ორგანიზაციასთან. ამ მუშაობაში ჩაბმულია გამომცემლობები, ჟურნალები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რადიო და ტელევიზია. ამას მოემსახურება რეგიონალური კონფერენციები და სამეცნიერო სესიები აფხაზთმცოდნეობის პრობლემებზე, რომლებიც სისტემატურად მოეწყობა.

უცხოეთში

საქდესი იუწყება

2 დეკემბერი

ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით

გაიხსნა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობა

პორტუ. (პორტუგალია). აქ გაიხსნა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობა.

ორი ათასამდე დელეგატი, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ, განიხილავენ პორტუგალიის საშინაო-პოლიტიკურ მდგომარეობას, პარტიის ამოცანებს ახლანდელ ეტაპზე, მის ტაქტიკას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაისად დანიშნული არჩევნების პერსპექტივისათვის. ისინი აგრეთვე განიხილავენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, მშვიდობისა და განიარაღებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებს. ყრილობის დელეგატები მიიღებენ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას და შეიტანენ ცვლილებებს მის წესდებაში.

ყრილობას ესწრებიან 70-მდე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის, პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გამოვიდა ალვარო კუნიალი. გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ჩვენი ყრილობა მიიღებს, დამოკიდებული იქნება პარტიის, ჩვენი ხალხისა და სამშობლოს მომავალი, თქვა მან. პარტიის XII ყრილობამ უნდა მიიღოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება ოთხ ძირითად პრობლემას: მოიწონოს პარტიის ახალი პროგრამა, მიიღოს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკური რეზოლუცია, შეიტანოს ცვლილებანი და დამატებანი წესდებაში, აირჩიოს ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

პარტიას შეგნებული აქვს, რომ ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყანაში საქმის ვითარებისათვის და მისი აქტიური მოქმედების უნარზე ბევრად არის დამოკიდებული რეაქციის დამარცხება და პორტუგალიის დემოკრატიული მომავალი.

ა. კუნიალი შეეხო საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებს და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ახალი დინამიკური წინადადებებისა და ინიციატივების, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის წყალობით ახლანდელი სიტუაცია არსებითად შეიცვალა, რაც ახალ პოზიტიურ ტენდენციებსა და პერსპექტივებს სახავს. შეიქმნა ახალი კლიმატი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ევროპაში საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების დადების მეოხებით.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში ვითარდება დაძაბულობის შენელების პროცესი, მიმდინარეობს დიალოგი და მოლაპარაკება, რომლებიც ადასტურებენ მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობის დიდ მნიშვნელობას.

მეოცე საუკუნემ, თქვა ა. კუნიალმა, დასაბამი მისცა კაცობრიობის ახალ ერას — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენების შესაძლებლობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ამ ისტორიული ცვლილების თვალსაჩინო დასტურია.

სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნა, განაგრძო პორტუგალიის კომუნისტთა ხელმძღვანელმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც სოციალიზმის მშენებლობის წარსული გამოცდილების ანალიზთან და შეფასებასთან დაკავშირებით, ისე სოციალისტური საზოგადოების გარდაქმნისა და განახლების თვალსაზრისითაც. ეს პროცესი მოწოდებულია ბოლო მოუღოს უძრაობას, ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. იგი მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს: პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ და კულტურულ სფეროებს, აგრეთვე პარტიას.

ანტიკომუნისტური პროპაგანდის მონაჭორებისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებს, გარდაქმნა სოციალიზმის „მსხვერპლს“ მოასწავებსო, სინამდვილეში სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებათა პროცესი სოციალიზმის თვისებრივად ახალი, უმაღლესი სტადიის მიმართულებით წინსვლაა და საეჭვოს არ ხდის მის ძირითად ღირებულებებს: სახალხო ხელისუფლებას, პარტიის ხელმძღვანელ როლს, წარმოების ძირითად საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობას და განაწილების ძირითად პრინციპს — თითოეულს შრომის მიხედვით, აგრეთვე ეკონომიკისა და სოციალური განვითარების საგეგმო ხასიათს. გარდაქმნის მიზანია განამტკიცოს და სრულყოს სოციალიზმის ეს პრინციპები. საზოგადოების, პარტიისა და სახელმწიფოს მთელი ცხოვრების დემოკრატიზაცია — ეს არის გარდაქმნის საფუძველი, რომელსაც სავსებით ადასტურებს სკკპ ლოზუნგი: „მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი“.

ა. კუნიალი შეეხო პორტუგალიის საშინაო-პოლიტიკურ ვითარებას და თქვა, რომ მისთვის დამახასიათებელია მემარჯვენე ძალების შეტევის გაძლიერება, რომლებიც ცდილობენ მოსპონ 1974 წლის აპრილის რევოლუციის პროგრესული მონაპოვრები, აღადგინონ მონოპოლისტური კაპიტალისა და ლატიფუნდისტების ძალაუფლება. რეაქციის გამტარებელია სოციალ-დემოკრატთა მთავრობა. ა. კუნიალმა ერთიანობის განმტკიცებისათვის მოუწოდა ქვეყნის მთელ დემოკრატიულ ძალებს, რათა ზრახვები ჩაუშალონ რეაქციას.

სოციალ-დემოკრატთა ახლანდელი მთავრობის პოლიტიკამ ვერ გადაჭრა პორტუგალიის ეკონომიკის სიძნელენი. სიტუაცია სოციალურ დარგში აგრეთვე მკვეთრად გაუარესდა. შემცირდა რეალური ხელფასი, გაიზარდა მასობრივი დათხოვნები, უმუშევრობა, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. პორტუგალიელ მშრომელებსა და ხალხს საერთოდ ძვირად უჯდებათ მონოპოლიათა რესტავრაციის პოლიტიკა. პარტია იბრძვის დემოკრატიულ პარტიათა დაახლოებისა და ერთიანობისათვის, რომელთა კურსიც მიზნად ისახავს კონკრეტულ ბრძოლას მემარჯვენეთა და მსხვილი კაპიტალის პოლიტიკის წინააღმდეგ.

პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი შეეხო პარტიის უახლოესი წლების ამოცანებს და აღნიშნა, რომ საჭიროა პორტუგალიელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მთელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების დემოკრატიზაცია, ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკის განხორციელება.

შემდეგ ა. კუნიალი შეეხო საზოგადოების პროგრესულ გარდაქმნაში კომუნისტური მოძრაობის, როგორც განმსაზღვრელი პოლიტიკური ძალის, როლს. კომუნისტური და მუშათა პარტიების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებას, მათს თანამშრომლობას, ურთიერთსოლიდარობას და შეთანხმებულ მოქმედებას ახლანდელ ეტაპზე, ჩვენი აზრით, საარსებო მნიშვნელობა ენიჭება, თქვა მან. მივესალმებით რა ახლანდელ ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, ჩვენ ამით მივესალმებით გარდაქმნას — რევოლუციურ პროცესს, რომელსაც მსოფლიო რეზონანსი აქვს.

დასასრულ ა. კუნიალმა თქვა: ცხოვრება ადასტურებს, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც მტკიცედ და მიზანმიმართულად იცავს მშრომელების, ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს, აპრილის რევოლუციით შექმნილ დემოკრატიულ წყობილებას. ცხოვრება ადასტურებს, რომ პორტუგალიელ ხალხს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის სახით ჰყავს ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ნებისმიერ გარემოებაში მუდამ მის მხარეზე იქნება.

პორტუგალიის კომპარტიის XII ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახდება პარტიის რიგების განმტკიცების, მისი მოქმედების გააქტიურების, მშრომელებთან და ხალხთა მასებთან მისი კავშირის განმტკიცების გზაზე.

ა. კუნიალის გამოსვლის გამო ყრილობაზე გაიშალა დისკუსია.

სალამოს სხდომაზე დაიწყო ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების გამოსვლები. მისი მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ვ. ა. მედვედევის გამოსვლას.

თავის გამოსვლაში მან პორტუგალიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის დელეგატებს, ყველა პორტუგალიელ კომუნისტს გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი ქვეყნის კომუნისტების ძმური სალამი.

კეთილი გრძნობებით მოგესალმებით და მუშაობაში წარმატებებს გისურვებთ, თქვა ორატორმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. იგი დიდი გულთბილობით იხსენებს თავის მონაწილეობას თქვენი პარტიის X ყრილობაში, რომელიც ამავე დარბაზში მიმდინარეობდა, იხსენებს გულითად შეხვედრებს პორტუგალიელ კომუნისტებთან, ქალაქ პორტუს მშრომელებთან.

ჩვენს ქვეყანაში იცნობენ და დიდ პატივს სცემენ პორტუგალიის კომპარტიას მუშათა კლასის, ყველა მშრომელი ადამიანის ინტერესების დასაცავად მისი თავდადებული ბრძოლის გამო, რომელსაც ეწევა იგი მთელი თავისი გმირული ისტორიის მანძილზე.

მოხსენებაში, რომელიც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით წარმოადგინა ამხ. ალვარო კუნიალმა, ნათლად არის მოხაზული პორტუგალიის საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში დამაჯერებლად მოწმობს, რომ თქვენი პარტია ახლებურად აზროვნებს, აქტიურად მოქმედებს თავის გარშემო ხალხთა მასების, ქვეყნის ფართო პატრიოტული ძალების შემოკრებისათვის. გისურვებთ წარმატებებს ამ გზაზე.

შემდეგ სკკპ დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და ჩვენი პარტიის XXVII ყრილობაზე აღებულია რევოლუციურ ცვლილებათა კურსი, რათა მაქსიმალურად გამოვლინდეს სოციალიზმის გიგანტური პოტენციალი, მიენიჭოს მას მეტი ძალ-ღონე. გაიზარდოს მისი ავტორიტეტი და მიმზიდველობა.

ასე დაიწყო ჩვენი გარდაქმნა. შეესაბამება რა ჩვენი საზოგადოების საშინაო განვითარების მოთხოვნებს, მას საერთაშორისო ჟღერადობა მიენიჭა და მიიპყრო მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღება.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, თქვა ვ. ა. მედვედევმა, რომ პასუხს ახალ შეკითხვებზე, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა ჩვენს წინაშე, ვეძებთ დიდი ოქტომბრის მიერ გაკვალულ გზაზე, ლენინის გზაზე, სოციალიზმის გზაზე. ამ გზას ჩვენ არასოდეს გადავუხვევთ. ამ მხრივ შეიძლება არავითარი ეჭვი არ იქონიონ ჩვენმა მეგობრებმა და არავითარი ილუზიები და არავითარი იმედები — ჩვენმა მტრებმა.

გარდაქმნა ჩვენი გაგებით სოციალიზმის განახლებაა, ყოველივე დრომოჭმულისგან, დანალექისაგან მისი განთავისუფლებაა, ეს არის სოციალიზმის აყვანა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე და მისი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე პროგრესული და დემოკრატიული ფორმის დამკვიდრება XXI საუკუნის მიჯნაზე.

გარდაქმნასთან, განაგრძო სკკპ დელეგაციის მეთაურმა, განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირეული განახლებაც, საერთაშორისო ურთიერთობის ის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ ახალ პოლიტიკურ აზროვნებას ვუწოდებთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ დარგში მშვიდობის და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური გზის ერთგულებას უხამებს იმ ახალ რეალობათა გააზრებას, რომლებმაც ძირეულად უცვალეს სახე თანამედროვე მსოფლიოს.

არასრული ოთხი წლის მანძილზე განისაზღვრა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ახალი პოლიტიკური აზროვნების ძირითადმა ელემენტებმა: იმპერატიულმა მოთხოვნამ დავიცვათ კაცობრიობის ცივილიზაცია ბირთვული მოსპობის საფრთხისაგან; მსოფლიოს მრავალფეროვნებისა და ურთიერთდამოკიდებულების შეგნებამ; თითოეული ხალხის მიერ საკუთარი ბედის თავისუფალი არჩევანის უფლების მტკიცე პატივისცემამ; იმის აღიარებამ, რომ შეუძლებელია სახელმწიფოთა შორის დავის ომის გზით გადაწყვეტა, და რომ საჭიროა ინტერესების ბალანსის ძიება; ყველა ხალხის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მიუხედავად ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის საჭიროებამ კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თქვენი ცენტრალური კომიტეტის თეზისების იმ დებულებას, რომ „მშვიდობისათვის ბრძოლაში არ შეიძლება არსებობდეს კლასობრივი საზღვრები და იდეოლოგიური ბარიერები“.

ახალი პოლიტიკური აზროვნება ჩვენი მხრივ იმით გამოიხატა, რომ წამოყენებულია 2000 წლისათვის ბირთვული იარაღისაგან მსოფლიოს განთავისუფლების და საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პროგრამა. საგარეო პოლიტიკაში მისმა პრაქტიკულმა განხორციელებამ საბჭოთა კავშირი უკვე მიიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებთან საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე, რომელმაც დასაბამი მისცა რეალური ბირთვული განიარაღების პროცესს.

ვ. ა. მედვედევი შეეხო ევროპაში შექმნილ სიტუაციას და თქვა: აქ სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს „საერთო-ევროპული სახლის“ კონცეფცია. ევროპის ხალხების ისტორიული და კულტურული ბედის ერთობა და ამასთანავე ჩვენს უძველეს კონტინენტზე შეიარაღების არნახული კონცენტრაცია, ორი დაპირისპირებული სამხედრო ბლოკის არსებობა განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს ევროპაში ვითარების გაჯანსაღებისაკენ, ნდობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის სამირკვლის შექმნისაკენ ძირეული შემობრუნების საქმეს.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ „საერთო-ევროპული სახლის“ ერთობლივი მშენებლობისადმი სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენენ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ხელმძღვანელები, სულ უფრო მეტი გაგებით ეკიდებიან იმ ფაქტს, რომ ეს იდეა არ არის მიმართული არავითარი ჩამოყალიბებული პოლიტიკური კავშირების წინააღმდეგ.

ჩვენ, განაცხადა დასასრულ სკკპ დელეგაციის ხელმძღვანელმა, დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომპარტიის ურთიერთობა მუდამ იყო და არის იდეური ერთიანობისა და საბრძოლო სოლიდარობის ღირსეული მაგალითი. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს პარტიასთან მჭიდრო ინტერნაციონალისტურ ურთიერთობას, პორტუგალიელ კომუნისტთა მიერ ჩვენი გარდაქმნის მხარდაჭერას.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის სოლიდარობა, საბჭოთა და პორტუგალიელი ხალხების მეგობრობა!

„ქიმიური ხიროსიმა“ — მოუშუშებელი იარა

ბჰოპალის კატასტროფის მეოთხე წლისთავის გამო

ზუსტად ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც 1984 წლის 3 დეკემბრის ავბედით ღამეს ინდოეთის ქალაქ ბჰოპალში ამერიკის ტრანსეროვნული კორპორაციის „იუნიონ კარბაიდის“ ქიმიური საწარმოს მიწისქვეშა საცავიდან გაიფრქვა მომაკვდინებელი გაზი, მაგრამ ამ ტრაგედიის დამღუპველი შედეგი დღემდე თავს იჩენს აქაურ მოსახლეობაში.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ აღნიშნავს, დღესდღეობით „ქიმიურ ხიროსიმაში“ დაღუპულთა ოფიციალური რიცხვი 3.323-ს აღწევს. 300 ათასზე მეტი ინდოელი გაზით მოიწამლა. ბჰოპალელ ექიმთა დიდი ჯგუფის მიერ განხორციელებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, მათგან 100 ათასზე მეტი მძიმე ქრონიკული სენით არის დაავადებული.

ბჰოპალის კატასტროფის მეოთხე წლისთავის წინ მადჰია-პრადეშის შტატის მთავრობამ და ბჰოპალის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ფართო საპროტესტო კამპანია გააჩაღეს „იუნიონ კარბაიდის“ ხელმძღვანელობის პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობს სამართლიანი დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულებს. ცნობილია, რომ ბჰოპალის სასამართლომ „იუნიონ კარბაიდს“ დააკისრა დროებითი კომპენსაციის სახით 3,5 მილიარდი რუპიის გადახდა. მართალია, მადჰია-პრადეშის შტატის უმაღლესმა სასამართლომ ეს თანხა 2,5 მილიარდამდე შეამცირა, მაგრამ კომპანია ცდილობს სხვადასხვა იურიდიული ხრიკებით თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. ოკეანისგაღმელ მეწარმეთა მსხვერპლთ დღემდე ერთი რუპიაც კი არ მიუღიათ.

ინდოეთის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა ტრანსეროვნული კორპორაცია დამნაშავედ ცნონ საშინელ ტრაგედიაში და აიძულონ კომპენსაციის შეტანა. მაგრამ, აღნიშნავს ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო, დაზარალებულთ უახლოეს წლებში ფულის მიღების მეტად მცირე შანსი აქვთ. იურისტთა აზრით, ამერიკელი საქმოსნების მიერ სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში საქმის გარჩევის გაჭიანურებამ შეიძლება მომავალი საუკუნის დამდეგამდე გასტანოს.

მადჰია-პრადეშის შტატის მთავრობამ შეიმუშავა ბჰოპალში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების შვიდწლიანი პროგრამა, რომლის მთავარი მიზანია დაეხმაროს ათეულ ათასობით ადამიანს, რომლებმაც სამუდამოდ დაკარგეს ჯანმრთელობა და შრომის უნარი.

• • •

სურათზე: ბჰოპალის ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის საავადმყოფო, სადაც ყოველდღიურად ასობით ინდოელი მიდის, რომლებიც ბჰოპალის ტრაგედიის შედეგად დასნეულდნენ და დღემდე აქტიურ მკურნალობას საჭიროებენ.

კონტაქტები, თანამშრომლობა

▼▼

საქართველოს დღეების წარმატება ნიკარაგუაში

ნიკარაგუის რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირის ტრადიციული დღეები, რომელიც წლეულს მიმდინარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითით. ორი კვირის მანძილზე მანაგუის, გრანადის, ჩინანდეგის, მატაგალპის, ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებლები ინტერესით ეცნობოდნენ ქართველი ერის ისტორიასა და კულტურას, რესპუბლიკის მიღწევებს სხვადასხვა დარგში. საკონცერტო დარბაზებში, საწარმოებში, ჯარის ნაწილებში გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, რომლებსაც გულთბილად ხვდებოდნენ ნიკარაგუელები.

აი, რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა:

— დღეებმა ძალზე წარმატებით ჩაიარა, ფართოდ შუქდებოდა პრესაში. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე პრესკონფერენციაში.

ორი კვირის მანძილზე ჩვენმა მსახიობებმა გამართეს 21 კონცერტი. განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ნიკარაგუაში ყველაზე პოპულარულ ფოლკლორული მუსიკის დღესასწაულში „გასტონ-88". ტრადიციისამებრ მასში მონაწილეობს ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მოცეკვავეთა მრავალი ჯგუფი და ვოკალური ანსამბლი. ჩვენი მოცეკვავეები ამ საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ.

დღეების კულმინაცია გახდა გალა-კონცერტი მანაგუაში.

ჩვენი დელეგაცია ნიკარაგუაში ჩავიდა რამდენიმე დღით ადრე, სანამ მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზარალდებოდა „ჯოანის" გრიგალისაგან. ქვეყანამ, რომელიც ისედაც უდიდეს სიძნელეებს განიცდის კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადა. ამიტომ, დღეების მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კონცერტების მთელი შემოსავალი დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა.

დღეების მრავალფეროვანმა პროგრამამ საშუალება მოგვცა ვწვეოდით ქვეყნის მრავალ რეგიონს. გაიმართა შეხვედრები მეურნეობებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ხელმძღვანელებთან, რესპუბლიკის მცხოვრებლებთან. ისინი ყველანი გმობდნენ კონტრრევოლუციონერთა შეიარაღებულ აქციებს, ამბობდნენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს სანდინისტური მთავრობის ინიციატივებს, რომელთა მიზანია ეროვნული შერიგების პოლიტიკის განხორციელება.

ქალაქ ჩინანდეგაში ჩვენ ვეწვიეთ საბჭოთა კავშირ-ნიკარაგუის მეგობრობის ჰოსპიტალს, სადაც საბჭოთა სპეციალისტები მუშაობენ. აქ გულთბილად იგონებენ ჩვენი რესპუბლიკის მედიკოსებსაც, რომლებიც რამდენიმე წლის მანძილზე დახმარებას უწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. დელეგაცია იყო აგრეთვე მანაგუის ჰოსპიტალში, გაეცნო ქალაქ ლეონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საქმიანობას.

ნიკარაგუის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საქმიანი კონტაქტების, განსაკუთრებით ამ ქვეყნისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობის შესახებ, როგორიცაა ბრძოლა მალარიის, სხვადასხვა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ. ჩვენმა რესპუბლიკამ შეიძინა დიდი გამოცდილება ამ დაავადების თავიდან აცილებასა და მკურნალობაში, ხოლო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტი მეთაური ინსტიტუტია ქვეყანაში მალარიასთან ბრძოლის საქმეში. ნიკარაგუელი მეგობრები აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენს წინადადებას სპეციალისტების გაცვლის, საქართველოში ნიკარაგუელი მედიკოსების კვალიფიკაციის ამაღლების, თანამშრომლობის სხვა ფორმების შესახებ.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური განთავისუფლებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



● კონსილიუმი. სიმონ კილაძის ფოტო.

სპორტის ამბები

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში გრძელდება ოცდამეერთე საერთაშორისო შეჯიბრება ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

ხელბურთელ ვაჟთა ამ ტრადიციული ასპარეზობის მეორე დღის სამი მატჩიდან ორში ყოველივე ბოლო წამებზე გაირკვა და ამასთან ერთად შვიდმეტრიანი საჯარიმოების შესრულების შემდეგ. პოლონელებმა გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრის პირველი ტაიმი წააგეს ანგარიშით 8:11, მაგრამ მეორე ტაიმის ერთ მონაკვეთში მათ შეძლეს მდგომარეობის გაწონასწორებაც და დაწინაურებაც. როცა კი თამაშის დამთავრებას 13 წამი აკლდა, დასავლეთგერმანელმა ხელბურთელებმა შვიდმეტრიანი საჯარიმოს ზუსტად დარტყმის წყალობით შეხვედრის ფრედ დასრულება შეძლეს — 22:22.

ასევე მწვავედ წარიმართა შეხვედრა ესპანეთის „კაკოლატ გრანოლიერსისა" და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის. საბჭოთა ხელბურთელებმა პირველი ტაიმი დათმეს ანგარიშით 12:13. შესვენების შემდეგაც სხვაობა თითქმის თანაბარი იყო, და როცა მატჩის დამთავრებას მხოლოდ 1 წამი აკლდა, ტაბლოზე მონიშნული იყო ანგარიში 27:27. სწორედ ამ ბოლო წამზე დაინიშნა შვიდმეტრიანი საჯარიმო საბჭოთა ნაკრების კარში, რომელიც ესპანელებმა ზუსტად გამოიყენეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 28:27.

საქართველოსა და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდების შეხვედრაში უპირატესობა ქვეყნის მთავარი კოლექტივის მხარეს იყო და ცხადია, გამარჯვებაც მას დარჩა — 36:16 (20:9).

გუშინ გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. ესპანელები შეხვდნენ გერმანელებს, სსრ კავშირის პირველი გუნდი — პოლონელებს, საქართველოს ნაკრებმა კი ითამაშა სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან.

ამ მატჩების წინ 4-4 ქულით ლიდერობდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრები და ესპანეთის გუნდი. გერმანელებს 3 ქულა ჰქონდათ, პოლონელებს — 1. რაც შეეხება სსრ კავშირის ახალგაზრდულ კოლექტივსა და საქართველოს ნაკრებს, მათ პირველ-ორ ტურში ქულაც არ მოუგიათ.

8 უძლიერესს შორის

ნიუ-იორკიდან მოვიდა ცნობა, რომ აქ დაიწყო „გრან-პრის" (მსოფლიო არაოფიციალური ჩემპიონატი) სუპერსერიის ფინალური ეტაპი. აქ მსოფლიოს 8 უძლიერესი ჩოგბურთელი საწყის ეტაპზე დაყოფილია ორ ქვეჯგუფად. პირველში ასპარეზობენ ბორის ბეკერი (გფრ), ანრი ლეკონტი (საფრანგეთი), მატს ვილინდერი და სტეფან ედბერგი (ორივე — შვეცია), მეორეში — ანდრე აგასი (აშშ), ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), იაკობ ხლასეკი (შვეიცარია) და ტიმ მაიოტი (აშშ). პირველი დღის შეხვედრებში ასეთი შედეგები აღინიშნა: ბეკერმა დაამარცხა 1988 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი ვილინდერი — 7:6, 6:7, 6:1, ლეკონტმა — ედბერგი — 6:4, 6:2, აგასიმ — მაიოტი — 6:2, 6:4, ხლასეკმა — ლენდლი — 4:6, 6:3, 7:5.

მეორე დღეს გამართული ბეკერისა და ედბერგის შეხვედრაში წარმატება წილად ხვდა ედბერგს — 7:6, 3:6, 6:4.

ქვეჯგუფებში გამარჯვებული ჩოგბურთელები ერთმანეთს შორის გაითამაშებენ პირველ ადგილს.

კრასნოიარსკში დამთავრებულ სპორტული საზოგადოებებისა და უწყებათა ნაკრები გუნდების იუნიორ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე თავი ისახელა თბილისელმა **ზაზა დაბრუნდაშვილმა** („შრომითი რეზერვები"). მან აბსოლუტურ კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა, მძიმე წონაში კი ვერცხლის მედალს დაეუფლა. ორი ჯილდო ხვდა წილად ქუთაისელ დინამოელს **მალხაზ დარჩიასაც**. იგი აბსოლუტურ კატეგორიაში მეორე იყო, ხოლო 95 კილოგრამამდე წონაში — მესამე.

ტატამზე მოპოვებული ჯილდოები

შედარებით დაბალ წონითს კატეგორიებში საქართველოს ძიუდოისტთაგან კიდევ სამმა სპორტსმენმა მოიპოვა უძლიერესთა წოდებები. ესენი არიან: თბილისელი არმიელი **გურამ მოდებაძე**, სოხუმელი დინამოელი **თამაზ ჭელიძე** და საგარეჯოელი **ბადრი ბასილაშვილი** (პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება). თბილისელი არმიელი **ზურაბ ონიანი** ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსეთის ფედერაციის ნაკრები, მესამეზე — ლატვიის გუნდი.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ ГССР

სასწრაფო დეპეშა
СРОЧНАЯ ТЕЛЕГРАММА

1235

თბილისი 9/2101 19 2 1105

თბილისი 96 ლენინის 14 კომუნისტის რედაქციას

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი სტატია

მიხეილ გორგოშიძე

პირველი მერცხალი

გუშინ ჩვენმა რედაქციამ სასიხარულო ამბავი შეიტყო. ეს სიხარული გვინდა მკითხველსაც გავუზიაროთ. საქმე ის არის, რომ როგორც იქნა, დეპეშა ქართული შრიფტით მივიღეთ.

ჩვენი კორესპონდენტი იმწამსვე დაუკავშირდა კავშირგაბმულობის სამინისტროს, საიდანაც გვამცნეს, რომ ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

ვაქვეყნებთ პირველ ქართულ დეპეშას, რომელიც რედაქციამ მიიღო.

რედაქტორი **ნ. ჩერქეზიშვილი.**

ნიკოლოზ მალუძე

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა — 59 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა სკკპ წევრი 1953 წლიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **მალუძე.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ნ. მალუძეს ირჩევენ საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის მდივნად. 1955-1958 წლებში მუშაობდა პარტიის თელავის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის, შემდეგ რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობებზე.

1958 წლიდან გარდაცვალებამდე კი მუშაობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ნ. მალუძის ხელმძღვანელობით თელავის პედინსტიტუტმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა. ნ. მალუძე ხელმძღვანელ და პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. იგი ავტორია 40-მდე გამოკვლევისა რესპუბლიკის ეკონომიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე, მრავალი სასარგებლო საქმის თაოსანი და ორგანიზატორი. დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის მუშაკთა შორის, არჩეული იყო საქართველოს კპ თელავის რაიკომის, მისი ბიუროს წევრად, თელავის რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატად.

საუკეთესო მოქალაქის, ახალგაზრდობის მეგობრისა და აღმზრდელის ნიკოლოზ მალუძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს საზოგადოებრიობაში.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო; საქართველოს კპ თელავის რაიკომი; თელავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ივანე ვნუკოვი

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გადამდგარი გენერალ-მაიორი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ივანე ივანეს ძე **ვნუკოვი.**

ი. ვნუკოვი დაიბადა 1904 წელს ორლოვის ოლქის დროსკოვსკის რაიონის სოფელ ვნუკოვოში. 1921 წელს იგი მოხალისედ მადის წითელი არმიის რიგებში, უმაღლესი სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მან გაიარა ქვეყნის სამხედრო სამსახურის დიდი და სახელოვანი გზა, 1941 წლიდან ი. ვნუკოვი მეცხრამეტე არმიის 104-ე მსროლელი დივიზიის მეთაურია, იბრძოდა დასავლეთის მესამე ბელორუსიის, ბალტიისპირეთის ფრონტებზე, სამხრეთ კორეაში.

მშვიდობიან შემოქმედებით წლებში ასეთივე კეთილსინდისიერებით და საქმის ცოდნით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

ი. ვნუკოვი დაჯილდოებული იყო ლენინის, ოთხი წითელი დროშის, კუტუზოვის მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის, დიდების პირველი ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

ი. ვნუკოვი 1951 წლიდან ... ... სამამულო ომის ვეტერანთა ... ჭოს მუშაობაში, თავისი ... მეაქვს ახალგაზრდა თაობის ... რნაციონალური სულისკვეთ... აღზრდის საქმეში. იგი ... და ყოველთვის ავლენდა ... დამახასიათებელ პრინციპულ... და გულისხმიერებას, ... თავმდაბლობას, რითაც ... და რაიონის საზოგადოებრიო... პატივისცემა დაიმსახურა ... თვისაც იგი აირჩიეს ქალაქ ... დიდის საპატიო მოქალაქედ.

ქვეყნისა და ხალხის წინაშე ... ლმოხდილი ადამიანის, ... კომუნისტის, სამაგალითო ... ნების ივანე ვნუკოვის ... დიდხანს დარჩება ზუგდიდ... მშრომელების გულში.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, ზუგდიდის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატი.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი
5 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 16.05— ქართული დოკუმენტური ფილმი „დედაშვილობა". 16.15 — საინფორმაციო გამოშვება — (რუსულ ენაზე). 16.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ავაშენებდი ოცნების ქალაქს". 16.35 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.05 — ბავშვებს —ცხოველების შესახებ (ლენინგრადიდან). 17.35 — ახალი ამბები (მ.). 17.40 — სატელევიზიო ხიდი — მოსკოვი-ბოსტონი (მ.). 18.40 — მოსწავლეთათვის —საქართველოს ისტორია. 19.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი 19.20— განცხადებები. 19.25 — კინოჟურნალი. 19.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი კულტურის საინტერესო ფურცელი. 20.50 — ახალი ლაურეატები — ალექსანდრე კორსანტია. 22.00 — „ვრემია" 22.50 — პრემიერა ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმისა „ხდება ხოლმე" (კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები (მ.).

მეორე პროგრამა. 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — სატელევიზიო დადგმა „ჟამი ყვითელი ფოთლებისა". პირველი ნაწილი. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მისურვე არასაფრენი ამინდი".

სამშაბათი
6 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 12.30— ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაგელოცოს მარჯვენა". 13.00 — ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 14.15 — „ათლეტიზმი". 14.45 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დღესასწაულის შემდეგ" (პირველი ჩვენება). 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 16.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „იამბე ციხის ნაშალო". 17.40 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.55 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება". 18.50 — კინონარკვევი. 19.10 — განცხადებები. 19.15 — „ბუნებას უჭირს, კანონო!" 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება — „მღერის ანსამბლი „ჩინარი". 20.55 გარდაქმნის წახნაგები. 21.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია" 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში, მეცხვარე". პირველი სერია.

მეორე პროგრამა. 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.50 — სატელევიზიო დადგმა „ჟამი ყვითელი ფოთლებისა". ნაწილი მეორე. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მაიკლის თავგადასავალი".

ოთხშაბათი
7 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 12.30 —ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეტიუდი მშრომელ ადამიანებზე". 13.00— „ნაშუადღევს". 13.45 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კედარი ტყის გარეშე არ ცოცხლობს". 14.45 — მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამნი მთავარ როლში" (პირველი ჩვენება). 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სიცოცხლის თარგი". 17.20 — მოსწავლეთათვის — „თეატრი და ბავშვები". 18.10 — „მეგობრობის გაკვეთილები". 18.35 — განცხადებები. 18.45 — „ქიმიზაცია. სიკეთე და ბოროტება". 19.30 — ხალხური შემოქმედება — „თუ კაცი გონიერია". 20.00 — მოამბე. 20. 35 — „01". 20.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე". მეორე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი" (მ.). 22.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე". მესამე სერია.

მეორე პროგრამა. 18.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყანჩას ბართყი". 19.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 19.40 მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35— მხატვრული ფილმი „არენაზე ლურიხი".

ხუთშაბათი
8 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 12.50— ქართული დოკუმენტური ფილმი „გიორგი თურმანაული". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის. — ბიოლოგია. 14.15 — „ათლეტიზმი". 14.45 — მასწავლებლის საათი — საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 15.15 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსაჯი". 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.00 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა". 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.45 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო". 18.10 — განცხადებები. 18.15 — შუქნიშანი. 18.30 — კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის იუბილე ერევანში. 19.00— „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 19.55 — წერილის დღე. 20.00 — მოამბე. 20.35 -- მუშის განწყობილება ქვეყნის სიმტკიცეა. 20.50 — უჩვენებს სატელევიზიო თეატრი: სატელევიზიო სპექტაკლი „თევდორე". პირველი ნაწილი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „თევდორე". ნაწილი მეორე.

მეორე პროგრამა. 18.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „იმედის ქოხები". 19.05— მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — მოსწავლეთათვის. „პიგიენა და ჯანმრთელობა". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი. „ფოტოგრაფი ჩვენებას იძლევა".

პარასკევი
9 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 13.00— „ნაშუადღევს". 13.45 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „როცა იფურჩქნება ღამის დედოფალი". 14.45 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი —გეპატიჟებით ყველას" (პირველი ჩვენება). 15.35 — კინოჟურნალი. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „აკაირო". 16.45 — საქართველოს ტელევიზიის პროგრამა ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე (მ). 17.40 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — მო...

შაბათი
10 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 7.30— „120 წუთი" 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმი — „მეზობელი დათუნები". 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ლიტერატურული თეატრი „ხმა საკრავისა" (განმეორებით). 11.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 12.00 — ათლეტიზმი. 12.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 12.45 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი „მეგობრების ეკრანი" (ვლადივოსტოკის ტელევიზიის პროგრამა). 13.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.45 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა — მხატვრული ფილმი „გვიანი პაემანი". 15.25 ...

კვირა
11 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 10.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 10.30 — „მალვიძარა" (მ.). 11.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — მუსიკალური გადაცემა „დილის ფოსტა" (მ). 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.40 — საკვირაო გამოფენა. 13.45 — შეხვე...

ტელევიზია—შაბათი, 3 დეკემბერი

თბილისი

დიალოგი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. 14.35 — მულტფილმი. 14.45 — საინფორმაციო გამოშვება. 14.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.00 — მღერის ანსამბლი „დარი...

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". ... გადაცემა. 16.15 — მულტფილმის პრემიერა. — „მონადირე". 16.25 — მკითხველთა საკავშირო კონფერენცია. შეხვედრა. ჟურნალ „ოქტიაბრის" რედკოლეგიასთან და ავტორე...



ჟურნალისტთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს დასრულდება ჟურნალისტთა კავშირის წევრთა ხელახალი აღრიცხვიანობა.

კავშირის იმ წევრებს, ვისაც არ წარმოუდგენიათ სააღრიცხვო ბარათები (სამ ეგზემპლარად) და ფოტოსურათები, გთხოვთ მიმართოთ ჟურნალისტთა კავშირს. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ...

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა.

თუ პრეტენზია გაქვთ

...

სალიკვიდაციო კომისია.